სახელმწიფო ინსპექტორის

ბრძანება №7

2020 წლის 8 ივნისი

ქ. თბილისი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაბამისი თანამშრომლის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის დადგენისა და სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1
ამ ბრძანების დანართის შესაბამისად დამტკიცდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაბამისი თანამშრომლის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესი და სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნუსხა.
მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო ინსპექტორი **ლონდა თოლორაია**